თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5797702

ნომერი: AR1875156

თარიღი : 31.01.2022

გაცემის თარიღი : 09.02.2022

გაცნობის თარიღი : 09.02.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ჯუმბერ ლეჟავას ქუჩა, N 47;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნათია ახალკაცი პ/ნ 01001069604
- იპოლიტე ივანოვის 9

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 8 ივლისის №5492279 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 31 იანვარს №AR1875156 განცხადებით მომართა ნათია ახალკაცმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2021 წლის 8 ივლისის

№5492279 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 8 ივლისის №5492279 ბრძანებით შეთანხმდა №01.17.07.009.021 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 8 ივლისიდან 2024 წლის 8 ივლისის ჩათვლით.
სამსახურის 2021 წლის 16 ივლისის №5504303 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 8 ივლისის №5492279 ბრძანებაში საპროექტო ობიექტის მისამართთან დაკავშირებით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2021 წლის 8 ივლისის №5492279 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში გამორჩენილი დამხმარე - 29.6 კვ.მ. ფართობის დამატებას და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად 4155.77 კვ.მ-ის ნაცვლად 4027.8 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 635.11 კვ.მ-ის ნაცვლად 553.2 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 1022.11 კვ.მ-ის ნაცვლად 997.9 კვ.მ-ის, ხოლო შეთანხმებული საოფისე 131.88 კვ.მ. ფართობის ნაცვლად კომერციული ფართობის 129.2 კვ.მ-ის ფართობის დაფიქსირებას. ამასთან, განმცხადებელი ითხოვს ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად 189.0 კვ.მ-ის დაფიქსირებას. რაც შეეხება შიდა ავტოსადგომების ფართობს, იგი რჩება უცვლელი.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს (ვექტორული ფაილი) და დაადგინა, რომ 2019 წლის 13 ნოემბრის №AR1717667 განცხადებაზე არასწორად იქნა წარმოდგენილი საპროექტო შენობის გეგმა-ნახაზების „პდფ“ ფაილი და ასევე, საპროექტო შენობის ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც შემდგომ არასწორად შეთანხმდა და აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გასწორება გამოიწვევს საპროექტო შენობის საერთო ფართობის ცვლილებას, შესაბამისად საპროექტო შენობის საერთო ფართობი 6735.07 კვ.მ-ის ნაცვლად იქნება - 6527.9 კვ.მ.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 8 ივლისის №5492279 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 8 ივლისის №5492279 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 189.0 კვ.მ., ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაემატოს გამორჩენილი დამხმარე - 29.6 კვ.მ, ფართობი, ასევე ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 4027.8 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 553.2 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 997.9 კვ.მ., საოფისე ფართობის ნაცვლად კომერციულ ფართობად - 129.2 კვ.მ., საერთო ფართობად - 6527.9 კვ.მ.
2. სამსახურის 2021 წლის 8 ივლისის №5492279 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 8 ივლისის №5492279 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 8 ივლისის №5492279 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.